პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — орган ЦК Компартии Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

№ 20 (9488) | შაბათი, 24 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

სოციალისტური ეკონომიკა იზრდება და წარმატებებს აღწევს

„პრავდის" 23/I მოწინავე

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს ცნობა მოწმობს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ახალ შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ლენინ — სტალინის დიადი პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით.

1952 წელს — მეხუთე სტალინური ხუთწლედის მეორე წელს — მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტურმა მრეწველობამ, რომელიც წამყვანი ძალაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. **საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა 1952 წელს მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 101 პროცენტით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წელს 1951 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.** როგორც ცნობილია, 1951 წელს საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა აგრეთვე გადაჭარბებით შესრულდა. მაშასადამე, მეხუთე სტალინური ხუთწლედის დავალებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ხუთწლედის პირველი ორი წლისათვის, შესრულებულია გადაჭარბებით. ამრიგად, შექმნილია ხელსაყრელი პირობები მთლიანად ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

გასულ წელს გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება, შემცირდა პროდუქციის ერთეულზე ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა. მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გადიდდა. 1952 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ ნედლეულის, მასალების, სათბობის ფასების და ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, აგრეთვე ტვირთზიდვის ტარიფების შემცირების გათვალისწინებით შეადგინა 8 პროცენტზე მეტი.

1952 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სოციალისტური წარმოების ზრდა და გაუმჯობესება მიმდინარეობდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ბაზაზე. ერთი წლის მანძილზე საბჭოთა მანქანათმშენებლობამ შექმნა 600-მდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, დანერგილია 800 ათასამდე გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა მიზანია წარმოების პროცესების გაუმჯობესება და ძირეული სრულყოფა.

დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. 1952 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობი 1951 წელთან შედარებით გადიდდა 2.765 ათასი ჰექტარით; ყველაზე ძვირფასი მარცვლეული კულტურის — ხორბლის ნათესი გადიდდა 3.320 ათასი ჰექტარით. გასულ წელს მარცვლეულის საერთო მოსავალი 8 მილიარდ ფუთს უდრიდა. ამასთან ხორბლის საერთო მოსავალი 23 პროცენტით სჭარბობს 1951 წლის მოსავალს. გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სელისა და სხვა ტექნიკური კულტურების, აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავალი. ახალი წარმატებებია მიღწეული მეცხოველეობის განვითარებაში.

კიდევ უფრო განმტკიცდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური ბაზა. გასულ წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 131 ათასი ტრაქტორი, თხუთმეტძალიანზე გადაყვანით, მარცვლეულის მოსავლის ასაღები 41 ათასი კომბაინი, 57 ათასი სატვირთო ავტომანქანა და ორ მილიონზე მეტი სხვადასხვა მანქანა და იარაღი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა კოლმეურნეობებში შეასრულეს მინდვრის ძირითად სამუშაოთა სამი მეოთხედი. წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის გეგმა.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდასთან ერთად განუხრელად ვითარდება ჩვენი ქვეყნის რკინიგზის, სამდინარო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტი.

საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი მასშტაბით ხორციელდება კაპიტალური მშენებლობა. შარშან სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1951 წელთან შედარებით შეადგენდა 111 პროცენტს. წარმატებით შესრულდა ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობის 1952 წლის საგეგმო დავალებანი. გასულ წელს მწყობრში ჩადგა კომუნიზმის დიად მშენებლობათა პირმშო — ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი — სტალინური ეპოქის გრანდიოზული ნაგებობა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულმა წარმატებებმა გამოიწვია საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება. ამით მკაფიოდ იჩენს თავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება.

„სოციალისტური წარმოების მიზანია, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არა მოგება, არამედ ადამიანი და მისი მოთხოვნილებანი, ესე იგი მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება".

როგორც დღეს გამოქვეყნებული ცნობიდან ჩანს, გასულ წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაჩაღება. 1952 წელს მოსახლეობას მიეყიდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით 10 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1951 წელს. საბჭოთა მთავრობამ 1952 წლის 1 აპრილიდან განახორციელა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავით მეხუთე — შემცირება.

სახალხო მეურნეობაში გრძელდებოდა მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა. გასული წლის დამლევისათვის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ჩვენში შეადგენდა 41,7 მილიონ კაცს. შარშან, ისევე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არა ყოფილა.

გასულ წელს დიდი წარმატებაა მიღწეული კულტურული მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ქალაქების კეთილმოწყობის დარგში. მნიშვნელოვნად გადიდდა საშუალო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეთა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი.

საბჭოთა სახელმწიფო დიდ სახსრებს აბანდებს საბინაო მშენებლობაში. გასულ წელს სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ, სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენეს 27 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აგებულია 370 ათასი საცხოვრებელი სახლი.

საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა. 1940 წლიდან 1951 წლამდე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 83 პროცენტით გადიდდა. 1952 წელს 1951 წელთან შედარებით იგი გადიდდა 11 პროცენტით.

საბჭოთა ქვეყანაში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნის. მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების, მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხების ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდებისა და სახელმწიფოს ხარჯზე მოსახლეობისათვის დახმარების მიცემის ზრდისა და შეღავათების შედეგად 1952 წელს 1951 წელთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდა 7 პროცენტით და გლეხების შემოსავალი სოფლის მეურნეობის ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — 8 პროცენტით.

ჩვენი მიღწევები დიდია, მაგრამ ლენინ — სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილ საბჭოთა ადამიანებს არ სჩვევიათ დასჯერდნენ მიღწეულს. ცნობილია, რომ ჩვენს მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაშია აღნიშნული, პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გასულ წელს ვერ შეასრულეს მძიმე მანქანათმშენებლობის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, სატყეო მრეწველობის, თევზის მრეწველობის სამინისტროებმა.

ზოგიერთი საწარმო არღვევს დავალებებს პროდუქციის ხარისხისა და სორტის მხრივ და უშვებს წუნს წარმოებაში. მრეწველობის მთელ რიგ დარგებში არ სრულდება წარმოების გეგმები დაწესებული ასორტიმენტით. მაგალითად, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ 1952 წელს ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების გეგმა, ჩარხმშენებლობის სამინისტრომ — ცალკეულ სახეობათა ჩარხებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანისა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — ზოგიერთ სახეობათა ცემენტისა. სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა.

ცხადია, ასეთი ნაკლოვანებანი შეუწყნარებელია, სახელმწიფო გეგმა კანონია. ყველა საწარმო ვალდებულია შეასრულოს მისთვის დაწესებული სახელმწიფო დავალებანი და უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა მისთვის საჭირო მაღალხარისხოვანი პროდუქციით.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის გენიალურმა შრომამ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", მისმა სიტყვამ ყრილობის საბოლოო სხდომაზე ჩვენს ხალხს ახალი შემოქმედებითი ძალები შემატა. ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, იზრდება წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა რიგები. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითი აქტივობის ამ აღმავლობას მეხუთე ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი წარმოების მოწინავეებს, უფრო ფართოდ გააჩაღონ ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა, რათა რაც შეიძლება მალე აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი.

მეხუთე სტალინური ხუთწლედი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას. ლენინ — სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის, კომუნიზმის მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კინორეჟისორ გ. ვ. ალექსანდროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კინორეჟისორ გ. ვ. ალექსანდროვის დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში მისი დამსახურების აღსანიშნავად, ამხ. გრიგოლ ვასილის-ძე **ალექსანდროვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 22 იანვარი.

ახალი კომეტის ფოტოსურათი

სტალინაბადი, 22 იანვარი. (საქდესი). ისარგებლა რა კარგი ამინდით, სტალინაბადის ასტრონომიულმა ობსერვატორიამ პირველად გადაიღო ჰარინგტონის პერიოდული კომეტის ფოტოსურათი. როგორც დაკვირვება ცხადყოფს, კომეტამ შეიცვალა თავისი გზა ვარსკვლავთა სივრცეში. სტალინაბადის ობსერვატორიის მონაცემების საფუძველზე ახლა გამორკვეულ იქნება მისი ახალი ორბიტი.

ქუთაისის საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქი

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

რეგისტრირებულია ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

21 იანვარს ბავშვთა სახლის შენობაში შედგა ქუთაისის საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომას კომისიის წევრებს გარდა დაესწრნენ საწარმოთა ხელმძღვანელები, სტახანოველები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიასახლისები.

სხდომა გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. მეძველიამ.

— ჩვენი ოლქის მშრომელებს, — თქვა მან, — წილად ხვდათ დიდი ბედნიერება. ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი დათანხმდა საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში.

ამ ცნობას სხდომის მონაწილენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სიტყვა წარმოთქვა საავტომობილო ქარხნის სტახანოველმა ამხ. ს. ჯიქიამ. მან აღნიშნა: ჩვენი ქარხნის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა ამხანაგი სტალინი. დიდი ბელადის ნდობას ჩვენ ვუპასუხებთ თავდადებული შრომით. პირობას ვდებ გეგმა შევასრულო 300 პროცენტით.

— ჩვენმა კოლექტივმა, — თქვა მაუდის ფაბრიკის სტახანოველმა მქსოველმა ამხ. ო. ივანიკოვამ, — დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. ამ სასიხარულო ცნობის პასუხად ვკისრულობ ვალდებულებას 130 პროცენტით შევასრულო ყოველთვიური გეგმა და გამოვუშვა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქცია. მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე პედაგოგმა ნ. ერისთავმა.

არჩევნების დებულების საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

რეგისტრირებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დასახელებული ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, შუშის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის და საელმავლო დეპოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, მოსამსახურეთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთო კრებების მიერ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

არჩევნების დებულების საფუძველზე შეტანილ იქნას დეპუტატობის კანდიდატი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი საარჩევნო ბიულეტენში ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 1 საარჩევნო ოლქში კენჭისსაყრელად.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

სამუშაოს დამთავრების შემდეგ ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მოლოტოვის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

პირველი სიტყვა აიღო ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ამხ. ლ. აივაზოვმა.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

კრების მონაწილეები ამ წინადადებას მქუხარე ოვაციით ეგებებიან.

სიტყვას იღებს საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლ. ვაინშტეინი.

— ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, — ამბობს იგი, — არ არსებობს უფრო ძვირფასი, უფრო ახლობელი და საყვარელი ადამიანი, ვიდრე დიდი სტალინია. სტალინს ვუმადლით ყველა ჩვენს გამარჯვებას, ჩვენს საამურ ცხოვრებას. გამოვთქვამ რა ჩვენი ქარხნის კოლექტივის ყველა წევრის გულისნადებს, სიხარულით ვუჭერ მხარს მშობლიური და საყვარელი სტალინის კანდიდატურას.

ამხ. ვაინშტეინმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 143 საარჩევნო ოლქში დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირა მხარი სტახანოველმა ხარატმა ვ. ამირგულოვმა. ამასთან მან დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მშობლიური სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხ. ამირგულოვის წინადადებას, რომელსაც კრების მონაწილეები მქუხარე ტაშით ხვდებიან, მხურვალედ დაუჭირა მხარი სამსხმელო საამქროს უფროსმა ამხ. ს. მაჩაიძემ.

* * *

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კრების მონაწილეებმა დაასახელეს აგრეთვე ხარატი ნ. სარალიძე, ქარხნის პარტბიუროს მდივანი თ. კალანდაძე, ქარხნის დირექტორი გ. ბერძენიშვილი, ხარატი ვ. ამირგულოვი, ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ს. ჯანფოლადოვი და საინსტრუმენტო-ექსპერიმენტული საამქროს უფროსი ქ. შელია.

ამავე კრებაზე მოლოტოვის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ იქნენ მრანდავი ვ. კვატაშიძე, შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი ი. დიასამიძე, ხარატი შ. ჯოხაძე, ინჟინერ-ტექნოლოგი კ. სიხარულიძე და ზეინკალი შ. ომანიძე.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი

მრავალი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე შეიკრიბა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საზეიმოდ მორთულ კლუბში გამართულ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას.

სიტყვა აიღო სამღებრო-გამომყვანი წარმოების უფროსმა ამხ. ი. ალექსიშვილმა.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან, — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ — სტალინის პარტიის სახელოვანი შვილი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.

ამხ. ალექსიშვილის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი საქსელე საამქროს ინსტრუქტორმა ამხ. ა. მამაჯანოვამ, მგეგმავმა ამხ. ე. სამსონიამ და ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ღავთაძემ.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ამხ. ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე საქალაქო საბჭოს არჩევნების № 343 საარჩევნო ოლქში.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად იქნენ დასახელებულნი აგრეთვე სტახანოველი მქსოველი ევდოკია სიმონის ასული ნიკულინა, საქსოვი საამქროს ინსტრუქტორი თამარ დავითის ასული ნათელაშვილი და სტახანოველი მქსოველი ალექსანდრა ვასილის ასული სიხარულიძე, რომელთა კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს მქსოველმა ამხ. თ. ჯიოევამ, ინსტრუქტორმა ამხ. ნ. პავლოვამ, მქსოველებმა ამხ. მ. ფსუტურმა, ამხ. ე. სოლომონიამ და სხვებმა.

საერთო კრებამ თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანი ნიკოლოზ გოგლიძე, მოსამზადებელი საამქროს მქსოველი მარიამ გოქსაძე, ფაბრიკის დირექტორი ელენე ღავთაძე, მქსოველი სოფიო ქაჩაიძე, წუნმდებელი კონტროლიორი ნატალია მელაძე, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი შოთა მახარაძე, კონტროლიორი ლოლა რატიანი, მქსოველები: ოლღა შიშკინა, ეთერ მილაძე, ფაცია გიორგაძე, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორი მარიამ ჩიტიძე, მუშა ალექსანდრე გვრიტიშვილი და წუნმდებელი იულია ფხალაძე.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი
ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი

დიდი აღფრთოვანებით ჩაიარა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ.

პირველად სიტყვას იღებს პარტბიუროს მდივანი ამხ. ო. ვადაჭკორია.

— ჩვენ შევიკრიბეთ იმისათვის, — ამბობს ის, — რომ დავასახელოთ თბილისის საქალაქო და ლენინის რაიონული საბჭოების დეპუტატობის კანდიდატები. წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ლენინ — სტალინის პარტიის ერთგული შვილი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

კრების მონაწილენი ერთსულოვანი აღფრთოვანებით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ამ წინადადებას.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის კანდიდატურას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ინჟინერმა ა. კრაინსკიმ, დამამზადებელი საამქროს ოსტატმა კ. ზარდალიშვილმა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომლითაც სთხოვა ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს დათანხმდეს კენჭი იყაროს დეპუტატობაზე თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 61 საარჩევნო ოლქში.

ქარხნის მთავარმა ინჟინერმა პ. გიორგაძემ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვასილ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

კრებამ სთხოვა ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილს დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე საქალაქო საბჭოს არჩევნების № 38 საარჩევნო ოლქში.

კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა აგრეთვე საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. ა. მელაძე, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი ამხ. გ. ძიძიგური, ამავე ქარხნის წარჩინებული სტახანოველი ამხ. ი. ბურდული.

კრებამ ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ო. ვადაჭკორია და სტახანოველი ზეინკალი ამხ. გ. კვერნაძე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაშლა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1952 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I.

წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

საერთო პროდუქციის წარმოების 1952 წლის წლიური გეგმა მთლიანად მრეწველობაში შესრულებულია 101 პროცენტით. ცალკეულ სამინისტროებს მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შესრულებული აქვთ შემდეგნაირად:

	1952 წლის წლიური გეგმის შესრულების პროცენტი
შავი მეტალურგიის სამინისტრო	103
ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	100
ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	100,2
ნავთობის მრეწველობის სამინისტრო	100,7
ელექტროსადგურების სამინისტრო	100,9
ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	102
ელექტრომრეწველობის სამინისტრო	102
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო	100,9
მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო	99
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო	102
ჩარხმშენებლობის სამინისტრო	100,5
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო	100,7
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	104
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	96
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	96
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	99
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო	90
ქაღალდისა და ხის გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	102
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100,6
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო	94
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	100,5
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	103
სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	99,9
გზათა სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	100
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	103
სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს სამრეწველო საწარმოები	107
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა მთავარი სამმართველოს სამრეწველო საწარმოები	104
მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები	103
სარეწაო კოოპერაცია	102

1952 წელს გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოშვებულია სამრეწველო პროდუქცია: თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, ზოგიერთი ფერადი ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, ბენზინი, ნავთი, დიზელის სათბობი, ბუნებრივი გაზი, ძალოვანი ტრანსფორმატორები, მსუბუქი ავტომანქანები, ბურთულსაკისარები, ექსკავატორები, ბულდოზერები, ლითონსაჭრელი ჩარხები, კაუსტიკური და კალცინირებული სოდა, მინერალური სასუქები, შხამქიმიკატები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველად, საღებავები და სხვა ქიმიკატები, ავტოსაბურავები, ფანჯრის მინა, შიფერი, ქაღალდი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, წინდები, ველოსიპედები, ფოტოაპარატები, პიანინოები და როიალები, აგრეთვე ყველი, შესქელებული რძე, საკონდიტრო ნაწარმი, ჩაი, ყურძნის ღვინო, პაპიროსი, ასანთი და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქცია.

გასულ წელს გაუმჯობესდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხი, მაგრამ ზოგიერთი საწარმო არღვევს დავალებებს პროდუქციის ხარისხისა და სორტის მხრივ და უშვებს წუნს წარმოებაში.

მრეწველობის მთელი რიგი დარგები ვერ ასრულებენ წარმოების გეგმებს დადგენილი ასორტიმენტით. მაგალითად, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ 1952 წელს ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა ენერგეტიკული მოწყობილობის წარმოების გეგმა, ჩარხმშენებლობის სამინისტრომ — ცალკეულ სახეობათა ჩარხებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანისა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — ზოგიერთი სახეობის ცემენტისა. სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს არ შეუსრულებია სამასალე მერქნის გამოზიდვის გეგმა.

II.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1952 წელს 1951 წელთან შედარებით შემდეგნაირად შეიცვალა:

	1952 წელი პროცენტობით 1951 წელთან შედარებით
თუჯი	114
ფოლადი	110
ნაგლინი	112
რკინიგზის რელსები	153
ფოლადის მილები	114
სპილენძი	115
თუთია	124
ტყვია	117
ქვანახშირი	107
ნავთობი	112
ბენზინი	126
დიზელის სათბობი	134
ბუნებრივი გაზი	102
ელექტროენერგია	113
ტროლეიბუსები	11,9-ჯერ
ავტომობილები	107
ბურთულსაკისარები	117
ნავთობაპარატურა	144
მეტალურგიული მოწყობილობა	112
დიდი ერთეცხვიანი ექსკავატორები	107
მრავალცხვიანი ექსკავატორები	122
ორთქლის ტურბინები	108
დიდი ჰიდროტურბინები	124
ტურბინგენერატორები	130
ჰიდროგენერატორები	138
დიდი ელექტრომანქანები	107
ავტომტვირთავები	103
ელექტრომოტორები	105
ელექტრონათურები	109
ლითონსაჭრელი ჩარხები — ჩარხმშენებლობის სამინისტრო	103
ქიმიური მოწყობილობა	128
სართავი მანქანები	118
საფეიქრო დაზგები	139
საანგარიშო მანქანები	153
ტრაქტორები	107
ჭარხლის კომბაინები	119
ტრაქტორის სათიბი მანქანები	120
მარცვალსაწმენდი მანქანები	107
კაუსტიკური სოდა	111
კალცინირებული სოდა	121
მინერალური სასუქები	108
სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა და სარეველა ბალახების წინააღმდეგ საბრძოლველი შხამქიმიკატები	145
სინთეზური საღებავები	108
სინთეზური კაუჩუკი	109
ავტოსაბურავები	101
ქაღალდი	109
ცემენტი	115
შიფერი	126
რბილი სახურავი	114
აგური	119
სტანდარტული სახლები	127
ველოსიპედები	143
რადიომიმღებები	106
პატეფონები	123
საკერავი მანქანები	120
საათები	109
ფოტოაპარატები	128
პიანინოები და როიალები	118
ბამბის ბოჭკო	107
ბამბის ქსოვილები	106
შალის ქსოვილები	108
აბრეშუმის ქსოვილები	129
ხორცი	115
ერბო-კარაქი	104
რძის პროდუქტები	105
შესქელებული რძე	128
მცენარეული საჭმელი ზეთი	109
ყველი	115
შაქარი	103
საკონდიტრო ნაწარმი	112
კონსერვები	111
ჩაი	112
საპონი	102
სპირტი	110
პაპიროსი	112
ყურძნის ღვინო	128
ლუდი	106

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1952 წელს 1951 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

1952 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობამ, მომარაგების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, მიიღო გაცილებით მეტი ნედლეული, მასალები, სათბობი, ელექტროენერგია და მოწყობილობა, ვიდრე 1951 წელს.

გასულ წელს გრძელდებოდა მრეწველობაში მოწყობილობის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესება. შავ მეტალურგიაში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენება გასულ წელს 1951 წელთან შედარებით 5 პროცენტით გაუმჯობესდა. მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლადის მიღება 3 პროცენტით გადიდდა, ნავთობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე 1951 წელთან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა. გაუმჯობესდა სიმძლავრეთა გამოყენება ნავთობის გადამმუშავებელ ქარხნებში და გადიდდა გადასამუშავებელი ნედლეულისაგან გამოსავლიანობის პროცენტი. ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში გადიდდა ქვანახშირის კომბაინ „დონბასის“ წარმადობა. ელექტროსადგურების სამინისტროს საწარმოებში ელექტროენერგიის წარმოებისათვის სათბობის ხვედრითი ხარჯვა შემცირდა 2,3 პროცენტით. ქიმიურ მრეწველობაში გაუმჯობესდა სინთეზური ამონიაკისა და გოგირდის მჟავას მწარმოებელ სიმძლავრეთა გამოყენება, აგრეთვე სიმძლავრეთა გამოყენება ცემენტის მრეწველობაში. გაუმჯობესდა მოწყობილობის გამოყენება ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმისა და ტრიკოტაჟის მრეწველობაში. მაგრამ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში და განსაკუთრებით მანქანათმშენებლობასა და სატყეო მრეწველობაში ჯერ კიდევ არის გამოუყენებელ სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი რეზერვები.

1952 წელს 1951 წელთან შედარებით ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ხარჯვა პროდუქციის ერთეულზე შემცირდა, მაგრამ მთელ რიგ საწარმოებში ურიგდებიან ნედლეულისა და მასალების გადახარჯვას დადგენილ ნორმებთან შედარებით.

1952 წელს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ ნედლეულის, მასალების, სათბობის თასების და ელექტროენერგიისა და თბოენერგიის, აგრეთვე ტვირთზიდვის ტარიფების შემცირების გათვალისწინებით შეადგინა 8 პროცენტზე მეტი.

III.

ახალი ტექნიკის დანერგვა სახალხო მეურნეობაში

1952 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, სოციალისტური წარმოების ზრდა და გაუმჯობესება მიმდინარეობდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ბაზაზე.

საბჭოთა მანქანათმშენებლობამ 1952 წელს შექმნა 600-მდე უმნიშვნელოვანესი ახალი ტიპისა და მარკის მანქანები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს. ამასთან ჩარხმშენებელ მრეწველობაში ათვისებულია 200-ზე მეტი ახალი ტიპისა და მარკის ლითონსაჭრელი და ხის დასამუშავებელი ჩარხები და სამჭედლო-საწნეხი მანქანები, მათ შორის ახალი კონსტრუქციის დიდი წარმადობის უნიკალური და მძიმე ჩარხები, ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხები და ახალი ავტომატური ჩარხების ხაზები.

გამოშვებულია ახალი ტიპის ქვანახშირის კომბაინები ქვანახშირის მცირე სიმძლავრის ფენებიან შახტებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის და ახალი აპარატურა და მოწყობილობა ნავთობის ფენებისა და საბადოების საძიებლად.

ახალ სახეობათა მოწყობილობა გამოშვებულია ელექტროსადგურებისათვის, მეტალურგიული, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგებისათვის, მათ შორის არის უფრო ეკონომიური ჰიდრავლიკური და ორთქლის ტურბინები, მაღალი წარმადობის საგლინავი მოწყობილობა, მანქანები სიმხურვალისგამძლე შენადნობებისა და მცირე ნახშირბადიანი ფოლადის შესადუღებლად, ახალი ტიპის აპარატები და ხელსაწყოები საწარმოო პროცესების ავტომატური კონტროლისა და რეგულირებისათვის.

გამოშვებულია ახალი ნიმუშების მძლავრი სკრეპერები, ბულდოზერები და მიწის სათხრელი მანქანები, აგრეთვე ამწე ექსკავატორები მშენებლობაში მიწისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

სოფლის მეურნეობაში მარცვლეული და ტექნიკური კულტურების დამუშავების მექანიზაციისათვის, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოთა მექანიზაციისათვის შექმნილია ახალი კონსტრუქციის მანქანები, მექანიზმები და იარაღი, მათ შორის ბამბისსაკრეფი თვითმავალი პნევმატიკური მანქანა ურწყავი მებამბეობის რაიონებისათვის, სილოსის ასაღები კომბაინი, დიდი წარმადობის სათიბი მანქანა, მანქანები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოების მექანიზაცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს შახტებში, სადაც უკვე წინა წლებში დამთავრდა მოყელვის, მონგრევის, გამოზიდვის მექანიზაცია, 1952 წელს შესრულდა სამუშაოები ქვანახშირის ამოღების ყველაზე შრომატევადი პროცესების — ლავებში ქვანახშირის დაყრის და მოსამზადებელი გვირაბების გაყვანისას ქვანახშირისა და ქანების დატვირთვის შემდგომი მექანიზაციისათვის. ამ სამუშაოთა მექანიზაციის მოცულობა 1952 წელს 1951 წელთან შედარებით გადიდდა ქვანახშირის დაყრისა — 25 პროცენტით, ქვანახშირისა და ქანის დატვირთვისა — 17 პროცენტით. გრძელდებოდა მოსამზადებელი გვირაბების ლითონის სამაგრებითა და რკინაბეტონის ბიგებით გამაგრების ახალ სახეობათა დანერგვა. 1952 წლის დამლევისათვის სადისტანციო მართვაზე გადაყვანილი იყო სულ 2.000-მდე კომბაინი და საყელავი მანქანა და 1.600-ზე მეტი კონვეიერული ხაზი.

სატყეო მრეწველობაში გაიზარდა ხე-ტყის დასამზადებელ ძირითად სამუშაოთა მექანიზაცია, 1952 წელს 1951 წელთან შედარებით მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ხაზით გადიდდა ტყის გაჩეხისა — 26 პროცენტით, ხე-ტყის მოზიდვისა — 20 პროცენტით და ხე-ტყის დატვირთვისა — 39 პროცენტით. მიუხედავად ხე-ტყის დამზადების მექანიზაციის მოცულობის გადიდებისა, სატყეო მრეწველობამ 1952 წელს მთლიანად ვერ შეასრულა ხე-ტყის დასამზადებელ სამუშაოთა მექანიზაციის დავალებანი.

გასულ წელს გადიდდა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია რკინიგზისა და წყალთა ტრანსპორტზე.

1952 წელს შემდგომ განვითარდა მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიური პროცესები და წარმოების ავტომატიზაცია მრეწველობის სხვადასხვა დარგში.

შავი მეტალურგიის სამინისტროს სამადნოებში წარმატებით იყენებენ რკინის მადნის გამოღების ახალ მაღალნაყოფიერ მეთოდებს. შესრულდა სამუშაოები თუჯისა და ფოლადის დნობის საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციისათვის, რომლებიც ზრდიან ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების წარმადობას. გრძელდებოდა მეტალურგიული ღუმელების აღჭურვა სითბოს რეჟიმის ავტომატური რეგულირების ხელსაწყოებით.

1952 წლის დამლევისათვის ელექტროსადგურების სამინისტროს სისტემაში დამთავრდა ექსპლოატაციაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების ყველა აგრეგატის გადაყვანა ავტომატურ მართვაზე. ტელემექანიკურ მართვაზე გადაყვანილია ჰიდროელექტროსადგურები, რომლებსაც ჰიდროელექტროსადგურების საერთო სიმძლავრის 50 პროცენტზე მეტი აქვთ. უფრო ფართოდ არის გამოყენებული საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია თბოელექტროსადგურებში.

ნავთობის მრეწველობაში გადიდდა ტურბინული ბურღვის ხვედრითი წონა ბურღვის საერთო მოცულობაში. წარმატებით ინერგებოდა გაძლიერებული რეჟიმი ჭაბურღილების ტურბინულ ბურღვაში და ორჭაურიან ბურღვაში, რაც უზრუნველყოფს ბურღვის სიჩქარის გადიდებას და სამონტაჟო სამუშაოთა ვადების შემცირებას. შემდგომ განვითარდა აგრეთვე ფენათა და წნევის დაცვის, განსაკუთრებით კონტურსიქითა წყალსვებით ნავთობის ამოღების მეთოდები. გრძელდებოდა ნავთობის ფენებში წყალის, გაზისა და ჰაერის ჭირხვნის საშუალებით ნავთობის ამოღების მეორადი მეთოდების დანერგვა.

მანქანათმშენებლობაში გადიდდა ახალ სახეობათა მოდიფიცირებული თუჯის — ფოლადისა და პროფილური ნაგლინის შემცვლელის გამოყენება. შემდგომ განვითარდა ლითონის ჩქაროსნული დამუშავების მოწინავე მეთოდები. დეტალების წარმოებაში და მანქანების, აპარატებისა და ხელსაწყოების აწყობაზე ინერგებოდა ახალი ნაკადური ხაზები. გრძელდებოდა თერმული და გასახურებელი ღუმელების აღჭურვა ავტომატური აპარატურით, გადიდდა ავტომატებისა და ნახევრადავტომატების რაოდენობა, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესში.

გრძელდებოდა მაღალი წარმადობის ახალი აგრეგატების, მანქანებისა და ავტომატების დანერგვა ბამბის, შალის მრეწველობაში და მსუბუქი მრეწველობის სხვა დარგებში, აგრეთვე ნაკადური მეთოდების დანერგვა წინდა-ტრიკოტაჟის ნაწარმის წარმოებაში. შესრულებულია სამუშაოები ავტომატებით, ავტომატური ხაზებით, აგრეთვე საწარმოო პროცესების ავტომატური კონტროლისა და რეგულირების ხელსაწყოებითა და აპარატებით კვების მრეწველობის საწარმოების შემდგომი აღჭურვისათვის.

1952 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გაიზარდა მშრომელთა მიერ შემოტანილ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი. მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე დანერგილია 800 ათასამდე გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება.

IV.

სოფლის მეურნეობა

1952 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობი 1951 წელთან შედარებით გადიდდა 2.765 ათასი ჰექტარით. ამასთან ყველაზე ძვირფასი მარცვლეული კულტურის — ხორბლის ნათესი 1951 წელთან შედარებით გადიდდა 3.320 ათასი ჰექტარით. 1952 წელს გადიდდა აგრეთვე ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესები. მნიშვნელოვნად გადიდდა საკვები ძირხვენების, სასილოსე კულტურების, მრავალწლიანი ბალახების ნათესები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის განმსაზღვრელი მთავარი სახელმწიფო ინსპექციის ცნობებით, 1952 წელს მიღებულია მარცვლეული და ტექნიკური კულტურების კარგი მოსავალი. მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 1952 წელს შეადგენს 8 მილიარდ ფუთს. ამასთან ხორბლის საერთო მოსავალი 23 პროცენტით სჭარბობს 1951 წლის მოსავალს. 1951 წელთან შედარებით გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, სელისა და სხვა ტექნიკური კულტურების, აგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის საერთო მოსავალი.

1952 წელს გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი ზრდა და განმტკიცება.

გასულ წელს სოფლის მეურნეობამ მიიღო 131 ათასი ტრაქტორი, 15-ძალიანზე გადაყვანით, 41 ათასი მარცვლეულის მოსავლის ასაღები კომბაინი, აქედან 21 ათასი თვითმავალი კომბაინი, 57 ათასი სატვირთო ავტომანქანა და ორ მილიონზე მეტი ნიადაგის დასამუშავებელი იარაღი, სათესი, მოსავლის ასაღები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა, აგრეთვე მანქანები და მოწყობილობა მეცხოველეობის ფერმებისათვის.

სოფლის მეურნეობის გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობის შედეგად კიდევ უფრო ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. 1952 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა თავიანთი სატრაქტორო და სამანქანო პარკით კოლმეურნეობებში შეასრულეს მინდვრის ძირითად სამუშაოთა სამი მეოთხედი. გასულ წელს კოლმეურნეობებში მექანიზებული იყო თითქმის მთელი ხვნა და თესვის 80 პროცენტზე მეტი. თითქმის მთლიანად მექანიზებულია ბამბის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების თესვა. კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავლის 70 პროცენტი აღებულია კომბაინებით, შაქრის ჭარხლის ნათესის ორ მესამედზე მეტი აღებულია ჭარხლის კომბაინებითა და ტრაქტორის ჭარხლისსათხრელი მანქანებით.

თუმცა 1952 წელს კოლმეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოცულობა მნიშვნელოვნად გადიდდა, მაგრამ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მთლიანად ვერ შეასრულეს კარტოფილის აღების, საკვების დასილოსებისა და მზრალად ხვნის სამუშაოთა გეგმა.

კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა ელექტროენერგიის გამოყენება წყალის მომარაგებაში, საკვების დამზადებაში, ძროხის წველაში, ცხვრის პარსვაში.

1952 წელს კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა გაიზარდა: ძროხისა — 6 პროცენტით, ღორისა — 4 პროცენტით, ცხვრისა — 7 პროცენტით, ცხენისა — 4 პროცენტით.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში გასულ წელს ძროხის სულადობა გაიზარდა 5 პროცენტით, ღორისა — 4 პროცენტით, ცხვრისა — 8 პროცენტით, ცხენისა — 9 პროცენტით.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და ტყესაცავმა სადგურებმა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებმა, მინდორსაცავი ტყის გაშენების შესახებ 1948 წელს მიღებული გეგმის შესასრულებლად. 1952 წელს დარგეს და დათესეს 725 ათასზე მეტი ჰექტარი მინდორსაცავი ტყე. ტყის გაშენების წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

1952 წელს შესრულებულია დიდი სამუშაოები სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებისა და ჭაობებისა და დაჭაობებული მიწების ამოშრობისათვის.

V.

რკინიგზის, წყალთა და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ზრდა

რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის წლიური გეგმა 1952 წელს შესრულებულია გადაჭარბებით. 1951 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა გადიდდა 9 პროცენტით. საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა რკინიგზებმა 104 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ ზოგიერთმა რკინიგზამ ვერ შეასრულა უმნიშვნელოვანესი ტვირთების დატვირთვის დაწესებული გეგმა, ვაგონის ბრუნვის დაჩქარების დავალება გასულ წელს შესრულებულია. რკინიგზებზე სათბობის ხარჯვა ტონა-კილომეტრზე 1951 წელთან შედარებით შემცირებულია 2,4 პროცენტით.

სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1951 წელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა, ამასთან წლიური გეგმა რამდენადმე შეუსრულებელია.

საზღვაო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1951 წელთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა. საზღვაო ტრანსპორტით ტვირთბრუნვის წლიური გეგმა 1952 წელს შესრულებულია.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1951 წელთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა.

VI.

კაპიტალური მშენებლობის ზრდა

სახელმწიფო კაპიტალური მშენებლობის მოცულობა 1952 წელს 1951 წელთან შედარებით 111 პროცენტს შეადგენს. ელექტროსადგურების კაპიტალური მშენებლობის მოცულობა შეადგენდა 126 პროცენტს, შავ და ფერად მეტალურგიაში — 111 პროცენტს, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობაში — 105 პროცენტს, მანქანათმშენებლობაში — 112 პროცენტს, საშენი მასალების მრეწველობაში — 109 პროცენტს და საბინაო მშენებლობაში 110 პროცენტს 1951 წელთან შედარებით.

1952 წელს ამუშავდა მნიშვნელოვანი ახალი საწარმოო სიმძლავრენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

წარმატებით შესრულდა 1952 წლისათვის დაწესებული საგეგმო დავალებანი ვოლგაზე, დონზე, დნეპრსა და ამუ-დარიაზე უდიდესი ელექტროსადგურებისა და სარწყავი სისტემების მშენებლობის დარგში.

1952 წელს მწყობრში ჩადგა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი.

სამშენებლო ორგანიზაციებმა 1952 წელს დიდი რაოდენობით მიიღეს მაღალი წარმაოობის მანქანები და მექანიზმები. ექსკავატორების არსებული პარკი 1951 წელთან შედარებით გადიდდა 25 პროცენტით, სკრეპე-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

რგებისა — 40 და მეტი პროცენტით, ბულდოზერებისა — 29 პროცენტით, კოჩკურა ამწეებისა — 70 და მეტი პროცენტით; ბევრად გადიდდა აგრეთვე სხვა სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების პარკი. მშენებლობებზე ხორციელდება ცალკე პროცესების მექანიზაციიდან სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა. მაგრამ სამშენებლო მანქანებსა და მექანიზმებს ბევრ მშენებლობაზე ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ.

მშენებლობის ღირებულება 1952 წელს 1951 წელთან შედარებით შემცირებულია. ამავე დროს ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფო გეგმით დაწესებული იმ დავალების შესრულება, რომ შეემცირებინა მშენებლობის ღირებულება სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ზედნადები და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების გზით.

სახელმწიფო საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრეთვე ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობამ სახელმწიფო კრედიტის დახმარებით 1952 წელს ააშენეს 27 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, სოფელ ადგილებში აშენდა 370 ათასი საცხოვრებელი სახლი.

VII.

საქონელბრუნვის გაშლა

1952 წელს გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში მოპოვებულ ახალ წარმატებათა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე მთავრობამ 1952 წლის 1 აპრილიდან განახორციელა მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი — საბარათო სისტემის გაუქმების შემდეგ სათვალავიო მეხუთე — შემცირება. 1952 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა აგრეთვე წიგნების, მათ შორის სახელმძღვანელოების ფასების შემცირება. ფასების ახალმა შემცირებამ ხელი შეუწყო საბჭოთა მანეთის შემდგომ განმტკიცებას, მისი მყიდველობითი უნარის გაძლიერებას და მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის შემდგომ გადიდებას.

1952 წლის მანძილზე მოსახლეობას მიეყიდა **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის** ხაზით 10 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1951 წელს. ამასთან ცალკეული უმნიშვნელოვანესი საქონლის გაყიდვა გადიდდა: ხორცისა — 10 პროცენტით, თევზის პროდუქტებისა — 13 პროცენტით, ერბო-კარაქისა, ზეთისა და სხვა საკვები ცხიმეულისა — 17 პროცენტით, კვერცხისა — 9 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტებისა — 17 პროცენტით, შაქრისა — 26 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა — 19 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილებისა — 20 პროცენტით, ტანსაცმლისა — 11 პროცენტით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 17 პროცენტით, წინდებისა — 11 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 15 პროცენტით, ავეჯისა — 20 და მეტი პროცენტით, საპნისა — 7 პროცენტით, საშენი მასალებისა მოსახლეობისათვის — 20 და მეტი პროცენტით, ველოსიპედებისა — 24 პროცენტით, საათებისა — 20 პროცენტით, ტელევიზორებისა — 27 პროცენტით, ფოტოაპარატებისა — 30 პროცენტით, საკერავი მანქანებისა — 22 პროცენტით, პატეფონებისა — 25 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობისათვის საოჯახო მაცივრების, მტვერსასრუტებისა და სარეცხი მანქანების მიყიდვა.

1952 წელს გაფართოვდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო ქსელი. წლის განმავლობაში გაიხსნა 7 ათასამდე ახალი მაღაზია. მნიშვნელოვნად გადიდდა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში.

1952 წელს გრძელდებოდა **პროდუქტების** გაყიდვის გადიდება **საკოლმეურნეო ბაზრებზე.** განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გადიდდა ფქვილის, ბურღულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ფრინველის, კვერცხის, თაფლის გაყიდვა.

VIII.

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობის გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1952 წლის დამლევისათვის შეადგენდა 41,7 მილიონს და 900 ათასით მეტი იყო, ვიდრე 1951 წლის ბოლოს. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში, მშენებლობაზე და ტრანსპორტზე მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა წელიწადში გადიდდა შვიდას ოცდახუთი ათასით, სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებებში — ასთხუთმეტი ათასით, საზოგადოებრივ კვებასა და საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში — სამოცი ათასი კაცით.

1952 წელს, ისე როგორც წინა წლებში, ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობა არა ყოფილა.

გასულ წელს სახელოსნო, რკინიგზის, სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები და სამთო-სამრეწველო სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე გაიგზავნა 326 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და კურსებზე სწავლების გზით 1952 წელს კვალიფიკაცია აიმაღლა და მომზადდა შვიდი მილიონ რვაასი ათასი მუშა და მოსამსახურე.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1952 წელს 1951 წელთან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით, მათ შორის მანქანათმშენებლობაში — 10 პროცენტით, შავ მეტალურგიაში — 8 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 8 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში — 4 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში — 5 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 8 პროცენტით.

მუშათა შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში 1952 წელს გაიზარდა 7 პროცენტით 1951 წელთან შედარებით.

IX.

კულტურული მშენებლობა, ჯანმრთელობის დაცვა და ქალაქების კეთილმოწყობა

1952 წელს გრძელდებოდა საბჭოთა ხალხის კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

შვიდწლიანი და საშუალო განათლების განვითარებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა რაოდენობა 5-10 კლასებში 1952 წელს გადიდდა ერთ მილიონ ხუთასი ათასით და მეტით, ამასთან 8-10 კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ერთი მილიონით გადიდდა.

იმ დასასრული ამოცანის შესაბამისად, რომ განხორციელდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და მსგავს სამრეწველო ცენტრებში, მოსწავლეთა რაოდენობა ამ ქალაქების 8-10 კლასებში 1952 წელს 44 პროცენტით გადიდდა.

უმაღლეს სასწავლებლებში (დაუსწრებელ სასწავლებელთა ჩათვლით) 1952 წელს სწავლობდა 1.442 ათასი სტუდენტი, ანუ 85 ათასით მეტი, ვიდრე 1951 წელს; ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (დაუსწრებელთა ჩათვლით) სწავლობდა 1.475 ათასი კაცი, ანუ 106 ათასით მეტი, ვიდრე 1951 წელს.

სახალხო მეურნეობაში მომუშავე იმ სპეციალისტთა საერთო რაოდენობა, რომელთაც დამთავრებული უმაღლესი განათლება თუ საშუალო ტექნიკური განათლება აქვთ, 1952 წელს 8 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1951 წელს.

გაფართოვდა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მშრომელთა სწავლა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მაგალითად, დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა 1951 წელთან შედარებით 8 პროცენტით გადიდდა, დაუსწრებელ და საღამოს ტექნიკუმებში — 11 პროცენტით და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში — 8 პროცენტით.

1952 წელს უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან მეცნიერული მუშაობისათვის ემზადებოდა 27 ათასზე მეტი ასპირანტი.

მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა 1.776 მეცნიერს, ინჟინერს, აგრონომს, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკს, მუშასა და სოფლის მეურნეობის მოწინავეს.

1952 წელს ჩვენს ქვეყანაში იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში არსებული 368 ათასი ყველა სახის ბიბლიოთეკა, რომელთაც ჰქონდათ 830 მილიონზე მეტი ცალი წიგნი.

კინოდანადგართა რაოდენობა 1952 წელს გასულ წელთან შედარებით 5 პროცენტით გადიდდა.

1952 წლის ზაფხულში 5 მილიონ 500 ათასმა ბავშვმა და მოზარდმა დაისვენა პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სანატორიუმებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში ან ორგანიზებულად გაემგზავრა ზაფხულის პერიოდში საგარაკო ადგილებში საბავშვო ბაღებთან, საბავშვო სახლებთან და საბავშვო ბაღებთან ერთად.

1952 წელს მიღწეულ იქნა მოსახლეობის სამკურნალო და სანიტარულ-პროფილაქტიკური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. გაფართოვდა საავადყოფო დაწესებულებათა, სამშობიარო სახლების, დისპანსერებისა და სხვა სამკურნალო დაწესებულებათა, აგრეთვე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში საწოლების რაოდენობა 1951 წელთან შედარებით 50 ათასით და მეტით გადიდდა. ექიმთა რაოდენობა 1951 წელთან შედარებით 14 ათასით გაიზარდა.

სამედიცინო მრეწველობამ 1952 წელს გამოუშვა 23 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1951 წელს. მნიშვნელოვნად გადიდდა დიდეფექტიან სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებათა, დიაგნოსტიკური და სამკურნალო აპარატურისა და სამედიცინო ინსტრუმენტების გამოშვება.

1952 წელს ხორციელდებოდა დიდი სამუშაოები კომუნალურ საწარმოთა მშენებლობის და ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობის, წყალსადენებისა და კანალიზაციის მშენებლობის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის მიმოსვლის გაფართოების, საცხოვრებელი შენობების გაზიფიკაციისა და თბოფიკაციის დარგში. ხორციელდებოდა აგრეთვე დიდი სამუშაო ქალაქების ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლისა და მოასფალტების, ქალაქებისა და მუშათა დაბების გამწვანების, ბულვარების, სკვერებისა და პარკების მოწყობის დარგში.

X.

ნაციონალური შემოსავლისა და მოსახლეობის შემოსავლის ზრდა

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1952 წელს 1951 წელთან შედარებით 11 პროცენტით გადიდდა.

საბჭოთა კავშირში მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით. ამასთან სსრ კავშირის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისევე როგორც გასულ წელს, მიიღეს ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი, ხოლო ნაციონალური შემოსავლის დანარჩენი ნაწილი სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების განკარგულებაში დარჩა სოციალისტური წარმოების გასაფართოებლად და სხვა საერთო-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ნაციონალური შემოსავლის ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობა და უზრუნველგვეყო სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოება.

სსრ კავშირის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიხატა მუშებისა და მოსამსახურეების ფულადი და რეალური ხელფასის ზრდით და როგორც საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მეურნეობიდან, ისე საკარმიდამო და პირადი მეურნეობიდან გლეხთა შემოსავლის გადიდებით.

1952 წელს მოსახლეობამ, ისევე როგორც წინა წლებში, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო დახმარება მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ხაზით, პენსიები სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და საბავშვო დაწესებულებათა საგზურები უფასოდ და შეღავათიან ფასებში, დახმარება მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისადმი, უფასო სამედიცინო დახმარება, უფასო სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება, მოსწავლეთა სტიპენდიები და მთელი რიგი სხვა დახმარება და შეღავათები. შემდეგ, ყველა მუშა-მოსამსახურემ, ესე იგი დაახლოებით 42 მილიონმა კაცმა მიიღო სულ მცირე ორი კვირის შვებულება, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშაკებმა უფრო ხანგრძლივი შვებულება ხელფასის შენახვით. 1952 წელს მოსახლეობამ აღნიშნული დახმარებისა და შეღავათების სახით სახელმწიფოს ხარჯზე მიიღო დაახლოებით 129 მილიარდი მანეთი.

მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემცირების, მუშებისა და მოსამსახურეების ფულადი ხელფასის ზრდის, გლეხთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდების და მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ხარჯზე დახმარებისა და შეღავათების გადიდების შედეგად 1952 წელს 1951 წელთან შედარებით მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდა 7 პროცენტით და გლეხთა შემოსავალი სოფლის მეურნეობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით — 8 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

შედგა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი — „ახალგაზრდა, არასრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციების მდგომარეობისა და მოვლის გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

— პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, — თქვა ამხ. მ. ბალავაძემ, — დასახულია სოციალისტური მიწათმოქმედებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობის ფიადი პროგრამა. სოფლის მეურნეობის მუშაკები თავდადებით იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. დიდი საბრძოლო ამოცანებია დასახული ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ქუთაისის ოლქს, — ამბობს მომხსენებელი, — დიდი ხვედრითი წონა აქვს რესპუბლიკის ჩაის მეურნეობაში. საქართველოს ჩაის პროდუქციის 67 პროცენტს ჩვენი ოლქის მეჩაიეები აძლევენ სახელმწიფოს. აქედან ნათელია, თუ რა დიდი ამოცანები აკისრია ოლქის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ჩაის რაიონების მშრომელებს.

გასულ წელს ოლქში ჩაის პლანტაციებს, განსაკუთრებით ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა-პატრონობის, ჩაის მწვანე ფოთლის დროულად კრეფისა და ახალი პლანტაციების გაშენების საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული, რის შედეგად ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის დავალება ქუთაისის ოლქში მხოლოდ 94 პროცენტით შესრულდა.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება არა მარტო იმით, რომ პლანტაციებში დროზე არ იქნა გატარებული აგროღონისძიებანი, არამედ იმითაც, რომ ჩაის რაიონებში სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული შრომა. თერჯოლის, წყალტუბოს, წულუკიძის, სამტრედიის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ზესტაფონის, ხობისა და სხვ. რაიონებში ათობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია დაუმუშავებელი დარჩა. გარდა ამისა, წყალტუბოს, წულუკიძის და სამტრედიის რაიონებში ჩაის პლანტაციების მორწყვის საუკეთესო საშუალებანი ვერ გამოიყენეს.

მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის პლანტაციების პირველი თოხნის გეგმა ოლქის კოლმეურნეობებში შესრულებული იყო 91,4 პროცენტით, მეორე თოხნისა — 85,9 პროცენტით, მესამე თოხნისა — მხოლოდ 37 პროცენტით; პლანტაციებში აზოტოვანი სასუქების შეტანის დავალება შესრულებულია 90,2 პროცენტით. ჩამორჩენაა აგრეთვე ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვისა და მინერალური სასუქების შეტანის საქმეში. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა გეგეჭკორის რაონში, სადაც ჩაის პლანტაციების პირველი თოხნის გეგმა 89 პროცენტით, მეორე თოხნის — 70 პროცენტით, ხოლო მესამე თოხნისა — 15 პროცენტით შესრულდა.

სამტრედიის რაიონში ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის საქმე მოუგვარებელია. მეორე თოხნის გეგმა შესრულებული აქვთ 79 პროცენტით; პლანტაციებში ნიადაგის გადაბარვა ძალიან უხარისხოდ ჩაატარეს. ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე თერჯოლის, ქუთაისის, ცხაკაიას, წულუკიძის, აბაშის, წყალტუბოს, ჩხოროწყუს, ხობისა და ზესტაფონის რაიონებში.

— მთელ რიგ კოლმეურნეობებში, ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლის საქმე მივიწყებულია. ბევრ კოლმეურნეობაში ჩაის ახალგაზრდა პლანტაციებისათვის განკუთვნილ სასუქებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ, ნიადაგს არ ამუშავებენ აგროტექნიკურ ვადებში, პლანტაციებს ქარსაცავი ზოლები არა აქვთ შემოვლებული, არ ზრუნავენ პლანტაციების შემოღობვისათვის და ისინი ხშირად პირუტყვის საძოვრად არის გამოყენებული.

ჩაის კულტურის აგროწესების ერთერთ ყოვლად დაუშვებელ დარღვევას მეჩაიეობის მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით კი სამტრედიის რაიონში, წარმოადგენს გადაბარვის მაგიერ პლანტაციების ნიადაგის ხვნა კავითა და გუთნით, რის შემდეგ ჩაის ბუჩქების მთელი ვეგეტაციის პერიოდში არ ტარდება ნიადაგის გაფხვიერება. ეს იწვევს ნიადაგის სწრაფად გამშრობას. წყალის რეჟიმის მკვეთრად დარღვევა ძლიერ ამცირებს ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. პარტიის სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. შუბლაძე და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოპალეიშვილი აგროწესების დარღვევის ამ აღმაშფოთებელ ფაქტს გულდამშვიდებით ურიგდებიან. ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა-დამუშავებაში მსგავს ფაქტებს ადგილი აქვს წყალტუბოს, ზესტაფონის, წულუკიძის, თერჯოლისა და სხვა რაიონებში.

ჩაის როგორც ახალგაზრდა, ისე ფოთოლსაკრეფ პლანტაციებს მზრუნველობით არ უვლიან ზუგდიდის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩხოროწყუს, თერჯოლის და სხვა რაიონებში, სადაც ათობით ჰექტარი ჩაის ახალგაზრდა პლანტაცია დაიღუპა, ფოთოლსაკრეფი რამდენიმე ჰექტარი პლანტაცია კი დაკნინდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ დაივიწყა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ დანერგული ტრადიცია — ჩაის პლანტაციების გაშენებამდე ან გაშენების წელსვე მისი ცოცხალი ღობეებითა და ქარსაცავი ზოლებით უზრუნველყოფა, რის შედეგად ოლქში არსებული პლანტაციების მეტ ნაწილს ქარსაცავები და ცოცხალი ღობეები არა აქვს. პარტიის საოლქო კომიტეტისა და ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სპეციალური დადგენილების მიუხედავად, ქარსაცავი ზოლებისა და ცოცხალი ღობეების გაშენების გეგმა ოლქის თითქმის ყველა რაიონში ჩამორჩა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, კერძოდ ჩაის მეურნეობის დარგში, ჩამორჩენის მთავარ მიზეზს შრომის ცუდი ორგანიზაცია წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა შრომის ორგანიზაციას ისე მოვკიდოთ ხელი, როგორც ამას პარტია, ამხანაგი სტალინი გვასწავლიან, როგორც მიგვითითებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. მეჩაიე კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს, — აღნიშნავს ამხ. მ. ბალავაძე, — ჩაის მეურნეობაში ფართოდ იქნება გამოყენებული ახალი, მაღალი წარმადობის ისეთი მანქანები, როგორიც არის ჩაის სასხლავი, საფუმიგაციო და დასამუშავებელი მანქანები. ასევე ფართო საწარმოო გამოცდას გაივლის ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანა. საჭიროა დაუყოვნებლივ გაიშალოს მუშაობა აღნიშნული მანქანების მძღოლებისა და მომსახურე პერსონალის მომზადებისათვის.

იანვარი და თებერვალი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების გადამწყვეტი თვეებია. რადაც უნდა დაგვიჯდეს, ამ ორ თვეში უნდა შევძლოთ ჩაის პლანტაციების წესრიგზე მოყვანა.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დღემდე ძალიან სუსტად ხდება მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა შეიმუშავა ჩაის კულტურის ახალი აგროტექნიკური ღონისძიება, მაგრამ წარმოებაში მის დანერგვას არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს. ინსტიტუტის მუშაობაში ჯერ კიდევ იგრძნობა ერთგვარი კარჩაკეტილობა, დამყარებული არ არის ახლო, ქმედითი კავშირი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ ჩაის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გადაჭრით გარდაქმნან მუშაობა და აქედანვე მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ 1953 წლის ჩაის მწვანე ფოთლის უხვსა და მყარ მოსავალს.

ეჭვი არ არის, — ამბობს ამხ. მ. ბალავაძე, — რომ ქუთაისის ოლქის კომუნისტები, საქართველოს კომუნისტებთან ერთად სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით, დიდი სტალინის მამობრივი ზრუნვის პასუხად, არ დაზოგავენ თავიანთ ძალებს იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად დიდი სტალინის ბრძნული მითითებები, უზრუნველყონ ჩაის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, მისცენ სამშობლოს უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქცია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ აღნიშნა, რომ მომხსენებელმა ჩაის მეურნეობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის სამართლიანად გააკრიტიკა ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელობა. ამხ. კუჭავამ პირობა მისცა პლენუმს, რომ 1953 წელი ზუგდიდის რაიონში იქნება ჩაის ფოთლის უხვი და მყარი მოსავლის წელი.

პლენუმი ვერ დააკმაყოფილა პარტიის მახარაძის რაიკომის მდივნის ამხ. ა. გობრონიძის გამოსვლამ. მან თავის სიტყვაში მეტი ადგილი დაუთმო წარმატებებს. ჩანს, ამხ. გობრონიძე კმაყოფილდება მცირეოდენი წარმატებებით, რაც რაიონს აქვს მუშაობაში, და ეგუება მთელ რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების დიდი ნაწილი მოუვლელია ნარუჯას ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ასკანის, ცხემლისხიდის, მერიისა და სხვა კოლმეურნეობებში 1946-1952 წლებში გაშენებული ქარსაცავი ზოლების მხოლოდ 22 პროცენტია გადარჩენილი. ჩამორჩენა აგრეთვე ჩაის პლანტაციების საზამთრო სამუშაოები.

საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის სათანადოდ დაყენებისათვის რაიკომმა დღემდე ვერ გაატარა გადამჭრელი ზომები. ჩაის პლანტაციებში თავის დროზე არ სრულდება აგროტექნიკით გათვალისწინებული სამუშაოები. კოლმეურნეობებმა ვერ უზრუნველყვეს ჩაის ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა-დამუშავება. ამხ. კვარაცხელიამ გააკრიტიკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მტს-ების სამმართველო და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მტს-ების სამმართველო, რომლებიც არ ეხმარებიან წალენჯიხის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს მუშაობის გაუმჯობესებაში.

პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. მამალაძემ განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქარსაცავი ზოლების გაშენებას. 1953-1954 წლებში უნდა უზრუნველყოთ მარტო ჩაის პლანტაციებში 172 კილომეტრზე ქარსაცავი ზოლებისა და 412 კილომეტრზე ცოცხალი ღობეების გაშენება. გასულ წელს 2 ჰექტარზე მოეწყო ტრიფოლიატის სანერგე ცოცხალი ღობეებისათვის, მიმდინარე წელს კი გათვალისწინებულია ტრიფოლიატის სანერგის კიდევ 2 ჰექტარზე გაშენება.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის ტექნიკური კულტურების სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. ქართველიშვილმა თქვა, რომ ხელსაყრელი ამინდების მიუხედავად, ოლქის ჩაის პლანტაციებში სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მოწინავეთა გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა პლანტაციების მორწყვა, მაგრამ ამ საკითხს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ წყალთა მეურნეობის ქუთაისის საოლქო სამმართველო, რაიონული პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობები.

გასულ წელს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა წულუკიძის რაიონის მეჩაიეებმა 76,7 პროცენტით შეასრულეს, აბაშის — 61,6 პროცენტით და თერჯოლის — 79,6 პროცენტით. ამ რაიონების ხელმძღვანელები ჩამორჩენას იმით ხსნიან, რომ არ ჰყოფნით მუშახელი, მაშინ როცა აღნიშნულ რაიონებში შრომისუნარიან ათობით კოლმეურნეს გამომუშავებული არა აქვს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, სათანადო ყურადღება არ იქცევა ქალების მთლიანად ჩაბმას საკოლმეურნეო წარმოებაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე რაიკომის მდივნებმა კ. ადამიამ (ცხაკაია), ა. იმედაძემ (წულუკიძე), პ. სახეჩიძემ (თერჯოლა), ზ. კიკნაძემ (ზესტაფონი).

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

ლექციერ-მომხსენებელთა ხუთდღიანი სემინარი კეცხოველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ი. ბ. სტალინის ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა თვითეული კომუნისტის გადაუდებელი ამოცანაა. ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ლექციურ პროპაგანდას. კარგად ორგანიზებული, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წაკითხული ლექციები დიდად ეხმარება ჩვენს კადრებს, რომლებიც სწავლობენ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს, XIX ყრილობის მასალებს და გადაწყვეტილებებს.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოაწყო ხუთდღიანი სემინარი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ოთხმოცამდე ლექტორი და მომხსენებელი. მოსმენილ იქნა ლექციები: „ი. ბ. სტალინის ნაშრომი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ დიდი შენაძენია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში“, „საწარმოო ძალების და წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესაბამისობის კანონი“. „ი. ბ. სტალინი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება — პარტიული ცხოვრების ძირითადი კანონია“ და სხვ.

ი. მამაცაშვილი,
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის კონსულტანტი.

ლენინის დღეები საზღვარგარეთ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 22 იანვარი. (საკდესი). პრაღის ვ. ი. ლენინის მუზეუმში, რომელიც გუშინ საღამოს გაიხსნა, მოვიდნენ პირველი დამთვალიერებლები. შთაბეჭდილებათა წიგნის პირველ გვერდზე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ჩაწერა: „დაე ვ. ი. ლენინის მუზეუმი კომუნიზმის სკოლა გახდეს მილიონობით ჩვენი ადამიანისათვის".

დღეს დილიდანვე ვ. ი. ლენინის მუზეუმში განუწყვეტლივ მოდიოდნენ მუშები, გლეხები, მოსამსახურენი, მოსწავლენი. აღფრთოვანებითა და სიყვარულით ეცნობიან ისინი ისტორიულ დოკუმენტებს, აკვირდებიან კაცობრიობის გენიალური ბელადების ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ძვირფას სახეებს, რომლებიც გამოხატულია ფოტოსურათებზე, ნახატებზე, ქანდაკებებით, ყურადღებით უსმენენ ექსკურსიების ხელმძღვანელთა საუბრებს.

პრაღის ვ. ი. ლენინის მუზეუმში დღეს ბევრი ექსკურსია მოეწყო. კერძოდ, მოეწყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ცენტრალური პარტიული სკოლის მსმენელთა და პრაღის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელთა დიდი ჯგუფის ექსკურსია. პირველი ხუთი საათის განმავლობაში მუზეუმში 600-მდე კაცი იყო.

ქალაქებიდან და სოფლებიდან შემოსულია მრავალი განაცხადი ვ. ი. ლენინის მუზეუმის კოლექტიურად დათვალიერების შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 21 იანვარი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდ პატივს სცემენ საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას.

ბერლინის დემოკრატიული პრესა დღეს აღნიშნავს ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავს და აქვეყნებს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ ვრცელ მასალებს.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" დაბეჭდა მოწინავე სტატია სათაურით: „ლენინი შემოქმედებითი მარქსიზმის გენიოსია".

„ისტორიას, — წერს გაზეთი, — ახსოვს ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრებაზე დიდ პიროვნებათა ხანგრძლივი გავლენის ბევრი მაგალითი. მაგრამ ყველა ეს მაგალითი ქარწყლდება, როცა ლაპარაკობენ ლენინის, მისი გონების დაუცხრომელი სიმძლავრის, კაცობრიობის განვითარებაზე მისი მძლავრი გარდამქმნელი გავლენის შესახებ".

აღნიშნავს რა ვ. ი. ლენინის დიდ დამსახურებას ახალი ვითარების შესაბამისად მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების საქმეში, გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ვ. ი. ლენინის მოძღვრება გახდა ყველა ქვეყნის მშრომელთა მოძღვრება მათს განმათავისუფლებელ ბრძოლაში და რომ ლენინის სახელი ახალი სამყაროს სიმბოლო გახდა ყველა ხალხისათვის.

თუ გერმანელ ხალხს, წერს შემდეგ გაზეთი, თავისი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ერის ძველი მესაფლავეებისა და იმპერიალისტი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში მოეპოვება ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიც არის გერმანიის მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური პარტია — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, — ეს მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა ლენინისა და სტალინის ძლევამოსილი ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმის მოძღვრების სიწმინდისათვის.

გაზეთები „ბერლინერ ცაიტუნგი", „დერ მორგენი", „ნაციონალ ცაიტუნგი", „ნოიე ცაიტი", „იუნგე ველტი" და სხვები აღნიშნავენ დიდი ლენინის გარდაცვალების წლისთავს და ხაზს უსვამენ მისი უკვდავი მოძღვრების მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 22 იანვარი. (საკდესი). უნგრელი ხალხი ღრმა პატივისცემით აღნიშნავს რევოლუციის უდიდესი გენიოსის ვ. ი. ლენინის ხსოვნას. უნგრეთის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებმა, საწარმოებისა და საწარმოო კოოპერატივების კოლექტივებმა მოაწყეს ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო-სამგლოვიარო სხდომები და კრებები.

შვეცია

სტოკჰოლმი. სტოკჰოლმში გაიმართა საზოგადოება „შვეცია — სსრ კავშირის" წევრთა საზეიმო-სამგლოვიარო კრება ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავის გამო.

სხდომაზე გამოვიდა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ნილს ხილვერშელდი, რომელმაც ილაპარაკა ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მთელი მსოფლიოს მშრომელები, განაცხადა მან, გამსჭვალული არიან ვ. ი. ლენინისადმი მხურვალე სიყვარულით.

საზოგადოების გამგეობის წევრმა ქ. კრიუსემ ილაპარაკა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის დიად მშენებლობათა შესახებ, საბჭოთა ხალხის მიერ ლენინის ანდერძის განხორციელების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ შვეციის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე შვეციაში სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული პ. ქ. ერმოშინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

ბელგია

ბრიუსელი. გაზეთი „დრაპო რუჟი" მოწინავე სტატიაში სათაურით „29 წელი ლენინის გარდაცვალების შემდეგ" წერს: „ლენინიზმი ცოცხლობს საბჭოთა ხალხის დაუძლეველ წინსვლაში კომუნიზმისაკენ. იგი ცოცხლობს და იმარჯვებს სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში, ახალ ჩინეთში, იგი თავს იჩენს ეროვნული განთავისუფლებისათვის მოძრაობის წარმატებებით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებით...

ვერაფერი ვერ შეაჩერებს კაცობრიობის წინსვლას".

ინდოეთი

დელი. გაზეთმა „სვადჰინატამ" 21 იანვრის ნომერი მიუძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ხსოვნას. გაზეთმა მოათავსა ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფოტოსურათები, აგრეთვე ინდოელი მწერლების სტატიები ვ. ი. ლენინზე და ვ. ი. ლენინის საქმის დიდ გამგრძობზე — ამხანაგ ი. ბ. სტალინზე.

22 იანვარი. (საკდესი).

დანია

კოპენჰაგენი, 22 იანვარი. (საკდესი). დანიის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ გუშინ აღნიშნა დიდი ლენინის გარდაცვალების 29-ე წლისთავი.

გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა" მოათავსა სტატია „ლენინიზმი და მშვიდობა". მოწინავე სტატიაში, რომლის სათაური „ლენინი", გაზეთი წერს: „ლენინი გარდაიცვალა, მაგრამ მისი უკვდავი საქმე ცოცხლობს და სულ უფრო და უფრო ძლიერი ხდება. ლენინიზმის იდეები უკვდავია. ისინი ცოცხლობენ და იმარჯვებენ ლენინის გენიალური თანამებრძოლისა და მისი ერთგული მემკვიდრის სტალინის ხელმძღვანელობით".

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 22 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღევანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე.

გუშინ ღამით ამერიკელმა ჰაერის მეკობრეებმა კვლავ მხეცურად დაბომბეს და ტყვიამფრქვევი დაუშინეს ვონსანის მიდამოებსა და ამბენის რაიონში მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს, რომელთაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ გააჩნდათ. მოკლული და დაჭრილია მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი.

სავაჭრო შეთანხმება უნგრეთსა და პოლონეთს შორის

ბუდაპეშტი, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც დღევანდელი გაზეთები იუწყებიან, 20 იანვარს ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს შეთანხმებას უნგრეთსა და პოლონეთს შორის 1953 წლის საქონელგაცვლისა და გადასახდელთა შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს საქონელგაცვლის გაფართოებას. ცნობაში აღნიშნულია, რომ ორ მეგობარ ხალხს შორის ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება ხელს შეუწყობს სოციალიზმის მშენებლობას ორივე ქვეყანაში.

ლაშქრობა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკდესი). მალე მას შემდეგ, რაც ფედერალურმა მოსამართლე დიმოკმა უარი თქვა ნება დაერთო საწინდრით გაეთავისუფლებინათ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის 13 ხელმძღვანელი, ბრალდებული ქალები ელიზაბეტ ფლინი, კლოდია ჯონსი, ბეტი განეტი წაიყვანეს ქალთა საპყრობილეში, ხოლო პერი, ბიტლმანი, მაინდლი, ჩარნი, უეინსტოუნი, ლენონი, ჯონსონი, ვეინსტოკი, ტრახტენბერგი და ჯერომი წყვილწყვილად გადააბეს ხელის ბორკილებით და გაგზავნეს მამაკაცთა სპეციალურ საპატიმროში.

„სამოქალაქო უფლებათა დაცვის საგანგებო კომიტეტმა", რომელმაც მოაწყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა დაცვა, შემდეგი განცხადება გააკეთა პრესისათვის:

„ეს ვერდიქტი (ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება, რომლებმაც კომპარტიის ხელმძღვანელები დამნაშავედ ცნეს, სმიტის კანონის დარღვევაში) საფრთხეს უქმნის 160 მილიონი ამერიკელის დემოკრატიულ უფლებებს და კიდევ უფრო უთხრის ძირს უფლებათა ბილს. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის ხანგრძლივი განხილვა არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ეს წინასწარ შეთითხნილი ვერდიქტი ნაწილია სმიტის კანონის საფუძველზე ყოველგვარი დევნისა, აზრებისადმი კონტროლის დამყარებასთან დაკავშირებული ყველა სასამართლო პროცესისა. იგი ემყარება ყალბ ჩვენებებს, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ იყიდა. ვერდიქტი გამოიტანეს ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც ცრურწმენებისა და დაშინების ტყვეობაში იმყოფებოდნენ... 13 ქალი და კაცი მსჯავრდადებულია მხოლოდ იმიტომ, რომ მათი პოლიტიკური შეხედულებანი — გამოთქმული სიტყვიერად და წერილობით — კომუნისტური აღმოჩნდა..."

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობა

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა დაამტკიცა ეიზენჰაუერის კაბინეტის ყველა წევრის დანიშვნა, გარდა თავდაცვის მინისტრისა. კაბინეტის შემადგენლობაში, 1947 წლის კანონის შესაბამისად, შედის ყველა მინისტრი, გარდა სამხედრო მინისტრისა, ავიაციის მინისტრისა და საზღვაო მინისტრისა, რომლებიც ემორჩილებიან თავდაცვის მინისტრს.

სახელმწიფო მდივნის პოსტზე დანიშნულია ჯონ ფოსტერ დალესი; შინაგან საქმეთა მინისტრად დუგლას მაკკეი; ფინანსთა მინისტრად ჯორჯ ჰემფრი; იუსტიციის მინისტრად ჰერბერტ ბრაუნელი; მიწათმოქმედების მინისტრად ეზრა ბენსონი; ვაჭრობის მინისტრად სინკლერ უიკსი; ფოსტის მინისტრად არტურ სამერფილდი; შრომის მინისტრად მარტინ დარკინი.

თავდაცვის მინისტრის პოსტზე ჩარლზ ერვინ ვილსონის დანიშვნა, რომლის კანდიდატურა წარადგინა ეიზენჰაუერმა, სენატს არ განუხილავს, რადგან სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის მთელმა რიგმა წევრებმა ვილსონის დანიშვნის დამტკიცების საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს.

უთანხმოება იოსიდას ლიბერალურ პარტიაში

პეკინი, 22 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

ტოკიოდან გადმოცემული ცნობებით, უთანხმოება იაპონიის ლიბერალურ პარტიაში ისე გაძლიერდა, რომ აშკარად მსჯელობენ იოსიდას კაბინეტის დაცემის საკითხზე. იოსიდას მოწინააღმდეგე ხატოიამას ჯგუფი ლიბერალურ პარტიაში ემზადება იოსიდასთან გადამწყვეტი ბრძოლისათვის მრჩეველთა პალატის მომავალი არჩევნებისა და პარლამენტში ახალი ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს. 13 იანვარს ისიბასიმ (ხატოიამას ჯგუფის წარმომადგენელი) აშკარად განაცხადა, რომ ეგრეთწოდებული „ლიბერალური პარტიის დემოკრატიზაციის ლიგა" თვითდაშლას მანამდე არ გამოაცხადებს, სანამ იოსიდას კაბინეტი არ დაეცემა". ისიბასიმ იოსიდას საჯაროდ უწოდა „ამერიკის მარიონეტი" და განაცხადა, რომ იოსიდა ცდილობს პირადი სარგებლის მიღებას და მსხვერპლად მიაქვს იაპონელი ერის ინტერესები.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი 11 იანვარს ტოკიოდან იუწყებოდა, რომ მუდმივი თემა, რაზეც ამჟამად იაპონიის პოლიტიკურ წრეებსა და პრესაში მსჯელობენ, არის საკითხი იმის შესახებ, თუ როდის გადადგება იოსიდა და ვინ შეცვლის მას.

სპექტაკლი რუსთავის მეტალურგებისათვის

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა გადაწყვიტა მჭიდრო კულტურული კავშირი დაამყაროს ქალაქ რუსთავის მეტალურგებთან, გააცნოს მათ საბჭოთა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნაწარმოებების საუკეთესო ნიმუშები.

ამ მიზნით დღეს, 24 იანვარს, ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებისა და მეტალურგებისათვის თეატრი დგამს გ. კილაძის ბალეტს „სინათლეს".

ბალეტში მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკის ქორეოგრაფიული ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი, ვ. წიგნაძე, ი. ალექსიძე, მ. ბაუერი და სხვ.

„სადკო" თბილისის კინოთეატრებში

თბილისის ეკრანებზე — კინოთეატრებში „რუსთაველში", „ამირანში", „თბილისში", „ისანში" და სხვ. 23 იანვრიდან უჩვენებენ ახალ ფერად მხატვრულ ფილმს „სადკოს". ფილმი კინოსტუდია „მოსფილმში" დადგა ა. პტუშკომ, სცენარი ეკუთვნის კ. ისაევს, მხატვრობა ე. კუმანკოვს და ე. სვიდეტელევს.

ფილმ „სადკოს" სცენარი დაწერილია ონეგური ბილინების მოტივების მიხედვით. ფილმში გამოყენებულია კომპოზიტორ რიმსკი-კორსაკოვის მუსიკა.

სადკოს როლს ასრულებს მსახიობი ს. სტოლიაროვი, ახალგაზრდა მსახიობები ა. ლარიონოვა და ე. მიშკოვა ასრულებენ ლუბავას და ილმენ-ცარევნას როლებს. ფილმში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მსახიობები მ. ტროიანოვსკი, ნ. კრიუჩკოვი, ი. პერევერზევი, ნ. მალიშევსკი და სხვ.

ა. კვანტალიანის შემოქმედებითი საღამო

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ორშაბათს, 26 იანვარს, მართავს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის სტალინური პრემიის ლაურეატის აკაკი კვანტალიანის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოს. ნაჩვენები იქნება ნაწყვეტები პიესებიდან: სტალინური პრემიის ლაურეატის ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი", უ. შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება", პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება", ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილა".

ლექციები

ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში — 26 იანვარს საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით, პროფესორ ი. ტალახაძის საჯარო ლექცია თემაზე „ორი დემოკრატია", ამავე დღეს პლეხანოვის სახელობის კლუბში ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ს. სახაროვის ლექცია „რელიგიური იდეოლოგიის რეაქციული არსი და მასთან ბრძოლა".

რედაქტორი გ. მერკვილაძე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის პროტესტი

პეკინი, 22 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გუშინ გამოაქვეყნა პროტესტი ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰაერის სივრცეში ამერიკის თვითმფრინავის შეჭრის წინააღმდეგ. თვითმფრინავში სპეციალური აგენტები იყვნენ. თვითმფრინავი გაგზავნა იქ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იმ მიზნით, რომ მოეხდინა სტრატეგიული დაზვერვა. პროტესტში ნათქვამია:

1953 წლის 12 იანვარს 21 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით ამერიკის თვითმფრინავი შემოიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ანდუნის რაიონის ჰაერის სივრცეში. მას გზა გადაუღობეს ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა და ჩამოაგდეს. თვითმფრინავში მყოფი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების 11 სამხედრო მოსამსახურე ტყვედ არის წამოყვანილი. მათ შორის არის პოლკოვნიკი ჯონ ნოქს არნოლდი-უმცროსი ამერიკის მე-13 ავიაშენაერთის 581-ე მეკავშირე ავიაპოლკის მეთაური. თვითმფრინავში მყოფი ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების სამი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ეს თვითმფრინავი, რომლის სერიული ნომერია 44-62217 არის „ბ-29" ბომბდამშენი, გადაკეთებული იმისათვის, რომ აწარმოოს სტრატეგიული დაზვერვა, ჩამოუშვას საიდუმლო აგენტები და განახორციელოს კავშირი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰაერის სივრცეში ამ თვითმფრინავის შემოჭრა ნათლად მოწმობს სერიოზულ პროვოკაციას ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ, რომელიც ცდილობს მოახდინოს დანაშაულებრივი სტრატეგიული დაზვერვა ჩინეთში იმ მიზნით, რომ გააფართოოს თავისი აგრესიული ომი. ჩინელი ხალხი დიდად აღშფოთებულია ამ ინციდენტით.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, გამხნევებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მოქმედებით, რომელმაც უკანონოდ მიიღო ინდოეთის რეზოლუციის პროექტი, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ყველაფერს სჩადის, აქტიურად ემზადება რა იმისათვის, რომ გააფართოოს თავისი სამხედრო ავანტიურა აზიაში. ერთი მხრივ იგი განაგრძობს სამხედრო ტყვეების დახოცვას, ეწევა ბაქტერიოლოგიურ ომს კორეაში, განუწყვეტლივ ბომბავს მშვიდობიან მოსახლეობას და სამოქალაქო ობიექტებს კორეის ზურგში და ამავე დროს ცალმხრივად არღვევს შეთანხმებას კორეისა და ჩინეთის დელეგაციის იმ სატრანსპორტო ავტომანქანებზე ჰაერიდან თავდაუსხმელობის შესახებ, რომლებიც დადიან ფხენიანსა და კესონს შორის, ცდილობს რა ამით საბოლოოდ ჩაშალოს მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ.

მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კორეის წინააღმდეგ აგრესიის მონაწილე თავის თვითმფრინავებს სულ უფრო და უფრო ხშირად გზავნის იმისათვის, რომ შეიჭრან ჩინეთის ჰაერის სივრცეში, ჩამოყარონ ბომბები და ატეხონ სროლა ჩინელი მოსახლეობის დახოცვის მიზნით. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავები შემოიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰაერის სივრცეში და ბომბები ჩამოყარეს 1952 წლის 28 ნოემბერს, 8 დეკემბერსა და 13 დეკემბერს. ამასთან მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე ჩინელი მოქალაქე. ახლა ამერიკელი აგრესორები უფრო შორს წავიდნენ, გამოგზავნეს რა თვითმფრინავი, რომელშიც იყვნენ სპეციალური აგენტები დანაშაულის ჩასადენად, სახელდობრ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის სტრატეგიული დაზვერვისათვის. ამერიკელი აგრესორები თავხედურად ცდილობენ მოაწყონ საბოტაჟი თვით ჩინეთში იმ მიზნით, რომ გააძლიერონ აგრესიის გასაფართოებლად სამარი მზადება. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეს თავხედური გეგმები, რომელთა მიზანია ომის გაფართოება, სამარცხვინოდ ჩაიშლება, წააწყდება რა ჩინელი ხალხის აღშფოთებას და წინააღმდეგობას. ის ფაქტი, რომ ანდუნის რაიონში ჩამოგდებულია ამერიკის თვითმფრინავი „RB-29", თავისთავად წინასწარმეტყველებს იმ დამარცხებას, რომელიც მოელის ამერიკელ აგრესორებს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მზადება კორეის ომის გაფართოებისათვის საფრთხეს უქმნის მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის დავალებით მტკიცე პროტესტს ვუცხადებ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამ სერიოზული პროვოკაციული აქტის გამო, აქტისა, რაც გამოხატა თვითმფრინავის გამოგზავნით, რომელშიც იყვნენ სპეციალური აგენტები, ჩინეთის ჰაერის სივრცეში შემოსაჭრელად იმ მიზნით, რომ მოეხდინათ სტრატეგიული დაზვერვა. ამით ვაფრთხილებთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ ჩინელი ხალხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოითმენს თავხედურ აგრესიულ მოქმედებას ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მხრივ და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაეკისრება მთელი პასუხისმგებლობა ყველა იმ შესაძლო შედეგისათვის, რაც ამას მოჰყვება.

ამერიკელთა ახალი პროვოკაცია

პეკინი, 22 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება: 12 იანვარს საღამოს ჩინეთის სახალხო სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჩამოაგდეს ამერიკის „RB-29" ტიპის თვითმფრინავი, როცა იგი შეიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰაერის სივრცეში. ეკიპაჟის მეტი ნაწილი ტყვედ წამოყვანილ იქნა.

ამერიკის ეს თვითმფრინავი აფრინდა იოკოტას (იაპონია) აეროდრომიდან 12 იანვარს 17 საათსა და 30 წუთზე და 21 საათსა და 15 წუთზე შეიჭრა ჩინეთის ჰაერის სივრცეში ანდუნის რაიონის მხრიდან.

ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებმა დაუყოვნებლივ გადაუღობეს მას გზა და ჩანგიზის სადგურ ულუნპეის მახლობლად, 15 კილომეტრზე ანდუნის ჩრდილო-დასავლეთით, თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამ „RB-29" თვითმფრინავის ნომერია 44-62217. როგორც ტყვეებმა აჩვენეს, ეს თვითმფრინავი გადაკეთებული „B-29" ბომბდამშენია, რომელსაც იყენებდნენ ოპერატიული დაზვერვისათვის, ჯაშუშების გადმოსხმისა და კავშირის განხორციელებისათვის. წინათ ეს თვითმფრინავი ამერიკელთა მე-13 ავიაშენაერთის 581-ე მეკავშირე ავიაპოლკის შემადგენლობაში

ჩინეთის საჰაერო საზღვრების დარღვევა

იყო. 1952 წლის დეკემბერში იგი გადაყვანილ იქნა იოკოტას აეროდრომზე იაპონიაში და გადაეცა ოპერატიული დაზვერვის 91-ე ესკადრილიას. 581-ე ავიაპოლკის მთავარი მიზანია კავშირის განხორციელება და ფსიქოლოგიური ომის წარმოება.

როცა თვითმფრინავი დაზიანდა, თვითმფრინავში მყოფი 14 კაცი პარაშუტით გადმოხტა, მათგან 11 კაცი წამოყვანილ იქნა ტყვედ, ხოლო სამი — სასიკვდილოდ დაშავდა. ტყვეთა შორის არის ამერიკელთა მე-13 ავიაშენაერთის 581-ე ავიაპოლკის მეთაური პოლკოვნიკი ჯონ ნოქს არნოლდ — უმცროსი, პირადი ნომერი 1212-ა, ოპერატიული დაზვერვის 91-ე ესკადრილიის საფრენოსნო და საბრძოლო მომზადების უფროსი მაიორი უილიამ ჰ. ბაუმერი, პირადი ნომერი აო 733786, კაპიტანი იუჯინ ჯონ ივადი, პირადი ნომერი აო 825008.

ამ „RB-29" ტიპის ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრის გარდა, რაც სტრატეგიული ხასიათის დანაშაულებრივი მიზნით მოხდა, კორეაში მყოფი ამერიკელთა თვითმფრინავები ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ბევრჯერ შემოიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰაერის სივრცეში, ხოლო 1952 წლის 28 ნოემბერს, 8 და 13 დეკემბერს მათ დაბომბეს ქალაქები, სადაც მოკლულ და დაჭრილ იქნა ბევრი მცხოვრები.

ამერიკელი აგრესორები, ნათქვამია სინხუას სააგენტოს კორესპონდენტის ცნობაში, განუწყვეტლივ არღვევენ ჩინეთის საჰაერო საზღვრებს, ხოცავენ და ჭრილობას აყენებენ ჩინელ მოსახლეობას და აშკარად გზავნიან თავიანთ თვითმფრინავებს დანაშაულებრივი სამხედრო დაზვერვისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში. ანდუნში ჩამოგდებული „RB-29" თვითმფრინავის ნამსხვრევები და ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ტყვედ წამოყვანილი პერსონალი უდავოდ მოწმობს ამერიკელთა დანაშაულს — მათ მიერ ჩინეთის საჰაერო საზღვრების დარღვევასა და კორეის ომის გაფართოებისათვის აქტიურ მზადებას. ჩინელ ხალხს არ შეუძლია შეურიგდეს ასეთ მოქმედებას. ამერიკელმა აგრესორებმა მთელი პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგებისათვის.

ლიბანელი ხალხი ამერიკის „დახმარების" წინააღმდეგია

ბეირუთი, 22 იანვარი. (საკდესი). როგორც ლიბანის პრესა იუწყება, 21 იანვარს ბეირუთის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ბაბ იდრისზე გაიმართა ქალაქის მუშებისა და ახალგაზრდობის საპროტესტო დემონსტრაცია ლიბანის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დათანხმდა მიიღოს ამერიკის ყბადაღებული „დახმარება". დემონსტრანტები წარმოთქვამდნენ ამ „დახმარების" საწინააღმდეგო ლოზუნგებს. პოლიციის ნაწილები შეეცადნენ დაეშალათ დემონსტრაცია, რის შედეგად დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

გაზეთი „ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ ანალოგიური დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ კასმიეში (სამხრეთი ლიბანი).

ოპერისა და ბალეტის თეატრი

24 იანვარს	გ. კილაძე — **სინათლე** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით). დასაწყისი საღ. 8 საათზე.
25 იანვარს	დღის 12 საათზე ბ. ასაფიევი— **ბახჩისარაის შადრევანი** საღამოს 8 საათზე ზ. ფალიაშვილი — **დაისი**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) დაიცავენ დისერტაციას: ა. წ. 3 თებერვალს დღის 3 საათზე **ავთანდილ ივანეს-ძე კუტუბიძე** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ეპინევრის როლი ნეიროდისტროფიული პროცესების განვითარებაში პერიფერიული ნერვის დაზიანებასთან დაკავშირებით"**.

ოფიციალური ოპონენტები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. **პ. პ. ქავთარაძე**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დ. გ. მამამთავრიშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ი. ი. ტატიშვილი**.

ა. წ. 10 თებერვალს, დღის 3 საათზე, **ნინო პეტრეს ასული თურმანიძე** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — **„წინამდებარე ჯირკვლის ჰიპერტროფიის საკითხისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ე. ქ. ფიფია** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ლ. დ. ცისკარიშვილი**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — პირველი ნაბიჯი; **მარჯანიშვილის სახელობის** — დაბრუნება; **გრიბოედოვის სახელობის** — ვერაგობა და სიყვარული (აბონემენტი 9, 10); **სომხური დრამის** — ოჯახის ღირსება; **მუსიკალური კომედიის** — სასიძოები; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გარდატეხა (აბონემენტი 22, 10 ს.), უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 38, 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (10 და 5 ს.).

საქართველოს რადიოგადაცემათა 25 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 10.30 — კონსტანტინე გამსახურდიას საუბარი: „თურქეთი"; 11.10 — „პიონერთა დაფიონის" საკვირაო გამოშვება; 11.40 — კონცერტი: ქართული ხალხური სიმღერები; 12.15 — კონცერტი სანდრო ინაშვილის შესრულებით; 12.45 — სიმღერები მოსკოვზე; 15.30 — რადიოინსცენირება „თეთრი არყისხე"; 16.40 — ქართული საესტრადო მუსიკის კონცერტი; 17.00 — რადიოჟურნალი „მიკროფონით ჩვენს რესპუბლიკაში"; 17.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის; 18.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის. თალგამი. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საერთაშორისო მიმოხილვა; 20.50 — კონცერტი რადიომსმენელთა შეკვეთით; 22.40 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა შესრულებით; 00.05 — ვალსები.

მოქალაქე **ოთარ სამსონის-ძე ქუთათელაძემ**, მცხოვრებმა ცხემის ჩიხი № 5, აღძრა საქმე ელბაქიძის დაღმართზე № 9-ა მცხოვრებ მოქალაქე **ნინო გიორგის ასულ რობაქიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ბერიას რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მაზლიშვილები სერგო, შურა, ჯულიეტა, რძალი ელენე დოლიძეები შვილებით იუწყებიან **მარო იოსების ასულ ჩიკაშუა-დოლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-I, 7 ს. გამოსვენება 25-I, 2 ს. კალანდაძის ქ. № 19.

ნათელა გიორგობიანი-ფოჩხიძისა, შურა კაკნაძე ოჯახებით იუწყებიან **ეთერი დომენტის ასულ კალმახელიძე-ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I, 3 ს. ბორჯომში, ბორჯომის ქ. № 8.

შვილიშვილები თეიმურაზ, თამაზ, ნოდარ, მერი, ჯიმშერ, დავით, მანანა, ნაზი, ზურაბ, გივი იუწყებიან **გრიგოლ თომას-ძე ანიკაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-I, 8 ს. გამოსვენება 25-I, 1 ს. სვერდლოვის ქ. № 14.

დედა ანა, მეუღლე თამარ, შვილები გურამ, მარიამ, ანა, ავთანდილ, და მარიამ, ძმები ბესარიონ, იაგორ, რძლები მ. აბაშიძე, მ. სოლოღაშვილი, ბ. ჯილაური შვილებით, სიძე ო. ზუკაკიშვილი იუწყებიან **პეტრე ზაქარიას-ძე ჯილაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I, სოფ. პატარძეულში (საგარეჯოს რაიონი).

მეული ნატო, მულიშვილები ირინე, ეკატერინე, პეტრე, გივი პეტრიაშვილები შვილებით იუწყებიან **ეთერ დომენტის ასულ კალმახელიძე-ხუციშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I, ქ. ბორჯომში.

მეუღლე ნინო, შვილები გივი, მამია, და ნინო, დისწული ჯემალ საბაშვილი, ძმისწული ალექსანდრე იუწყებიან **ერასტი არსენის-ძე დვალიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-I, 8 ს. გამოსვენება 25-I, 3 ს. ხვანჭკარის ქ. № 16.

თბილისის ქალთა 45-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი იუწყება **ილია ანტონის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა პროპედევტიკული კლინიკის პროფესორ-მასწავლებლები და ქალაქის პირველი საავადმყოფოს მეორე თერაპიული განყოფილების ექიმები იუწყებიან ამავე კლინიკის ასისტენტის **თამარ თედორეს ასულ ასანიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ვლადიმერ, ფედოსი, ეფროსინე, ოლღა, ელისაბედ, კოლია, მარიამ ოჯახებით იუწყებიან **ივლიტე ნიკოლოზის ასულ წილოსანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I, ლანჩხუთში.

დედა ბარბარე, და ნინო, ძმები გიორგი, არჩილ, რძლები ქეთო, ევგენია, სიძე ნ. ოძელაშვილი იუწყებიან ექიმ **თამარ თევდორეს ასულ ასანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, 7 ს. გამოსვენება 27-I, 5 ს. მარტყოფის შესახვევი № 11.

მეუღლე შალვა, შვილები მერი, ნინო, დედა სონია, დები ელენე, იულია, გალინა, გენია, ძმები კონსტანტინე, პანაიოტი იუწყებიან **ნიცა აქილესის ასულ სტეფანიდი-კვინიხიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-I, 8 ს. გამოსვენება 27-I, 4 ს. ელბაქიძის დაღმართი № 8.

ქალაქის პირველი საავადმყოფოს ცენტრალური ლაბორატორიის და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მიკრობიოლოგიისა და ეპიდემიოლოგიური კათედრის თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ თომას-ძე ანიკაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და მომარაგების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი სტეფანეს-ძე მუქერიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I, სოფ. ილორში (სამტრედიის რაიონი).

რძალი ეფროსინე კანდელაკი, ძმისწულები მარიამ თაყაიშვილი, ალექსანდრე, დავით, ვლადიმერ ოჯახებით, მარიამ, თამარ კანდელაკები შვილებით იუწყებიან **ილია ანტონის-ძე კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 24-I, 7 ს. 30 წ. გამოსვენება 25-I, 2 ს. პეტრიაშვილის ქ. № 8.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი იუწყება **პეტრე ჯილაურის** გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-08, 3-82-05; პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობის — 3-81-84, სოფლის მეურნეობის — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უა 00718